№ 211 ოქტომბერი 5, შაბათი — 1891 — ოქტომბერი 5, შაბათი № 211

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891 — 1877—1891

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულდური სტრიქონი რვა კაპ.

პეტრე სოფრონის ძე შატილოვი და ანჩისხატის ტაძრის დეკანოზი აბრაამ დიმიტრის ძე უთნელიშვილი ცოლითა და შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ღ ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა და მეორე ასულისა თვისისა **სოფიოსას**, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ შაბათს, 5 ოქტომბერს, დილის $9^1/_2$ საათზე, ანჩისხატის ტაძარში.

(2—123—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის კანცელარიაში ხელის მოწერაა გამართული და იღებენ შეწირულებას განსაახლებლად მველის ტაძრისა გორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან ნაშუდღევის 2 საათამდე.

(5—5)

## ახალი ამბავი

*** ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი, ტაინი სოვეტნიკი ფ. გ-ძე ტერნერი ტფილისიდამ გუშინ კავკავში გაემგზავრა.

*** ხუთშაბათს, ამ თთვის 3, საგანგებო მატარებლით, ღამის 11 საათზე რკინის გზის კომისია, რომელშიაც ოცდა თხუთმეტი ინჟენერია, ბაქოში გაემგზავრა იმ მხრის რკინის გზის დასათვალიერებლად. ამ კომისიამ ამას წინად რკინის გზა დაათვალიერა ბათუმის მხარეს და ბაქოდგან-კი იმიერ კასპიის მხარეს წავა რკინის გზის დასათვალიერებლადვე უზუნადიდამ სამარყანდამდე.

*** როგორც ვუწყით, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში ორი წევრია, წარმომადგენელი თავად-აზნაურობისა, ღ ორიც ამათი კანდიდატი. წარსულს წელს ამ თანამდებობაზედ თავად-აზნაურობამ ამოირჩია თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი და თ. დ. ი. ავალიშვილი. რადგან პირველი მათგანი სახელმწიფო სამსახურში შევიდა, მომრიგებელ-შუა კაცად ბორჩალოს მაზრაში, და მეორე-კი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრად იქმნა ამორჩეული, ამიტომ იმათს მაგიერობას აქამდე კანდიდატები ასრულებენ, გ. ს. განზიელი და თ. ვ. მ. თუმანიშვილი. კანდიდატების ადგილი-კი ცალიერი დარჩა. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩქარა იქმნება თურმე მოწვეული საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა ორის კანდიდატის ამოსარჩევად.

*** 1892 წლიდამ გაზეთის „კავკაზ“-ის რედაქტორად, როგორც ჩვენ შევიტყეთ, დანიშნული იქნება ბ-ნი მილიუტინი.

*** სომხურს დრამატიულს დასს განუზრახავს, საქველ-მოქმედო აზრით ორი წარმოდგენა გამართოს, ერთი მოუსავლობით დამშეულ რუსეთის გლეხების სასარგებლოდ და ერთი სომეხ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. ესევე დასი ამზადებს და ამ ბოლო ხანებში წარმოადგენს თურმე სომხურს ენაზედ ორს რუსულს პიესას: ოსტროვსკისას „Гроза“-ს და პოტეხინისას „Нищіе духомъ“-ს. ორივე პიესა ბ-ნ არუმიანის ნათარგმნია.

*** ჩვენი ქალაქი თან-და-თან წინ იწევს. აქამდე ელექტრონის ძალით ანათებდნენ მარტოკა საადგილ-მამულო ბანკის თეატრს და ამ თთვის ბოლოდან-კი ელექტრონითვე განათებულ იქნება ბევრი წილი მაღაზიები, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე. ამ მოკლე ხანში ბევრგან სხვაგანაც აპირობენ ელექტრონით განათების შემოღებას.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელიარიაში ღამის სათევ თავ-შესაფარის გასამართავად მიღებულია კიდევ: ექიმ შახპარონიანცისაგან—12 მ., მარქარ ბოღდანოვიჩისაგან—100 მ., „იტალიის“ ბაღის პატრონისაგან—198 მ., ცირკში გამართულ წარმოდგენიდან—100 მ., „მიხეილის“ ბაღში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენიდგან—115 მ., 60 კ., ტფილისის არტილერიის ქარხნის აფიცრებისაგან—3 მ., და გერმანელ დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოებისაგან—200 მ., სულ 728 მ., 60 კ., ამას წინად შემოსულ ფულიანად-კი სულ შესდგა 2,735 მ. 60 კ.

*** სოფ. უდე (ახალც. მაზრა) ჩვენსკენ წრეულ კაი მოსავალი იყო. პური, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, მსხალი, ვაშლი, ქანქური ბლომად მოვიდა. ქანქურისაგან აქაურები ფალვარდასა და ტყლაპს (ფესცილას) აკეთებენ. აქაური ხილი მთელს საქართველოში გათქმულია. მსხალი და ვაშლი ვაჭრებს რუსეთისაკენ მიაქვთ. ვაზი სრულიად არ ჰხარობს. ხალხი-კი ამბობს, რომ ქართველ მეფების დროს აქ კარგი ღვინო მოდიოდაო. ეხლაც მოიპოვება ძველად მიწაში ჩაფლულ-ჩაკირული ქვევრები. უნდა მოგწეროთ ისიც, რომ აქაურს ქართველს მაჰმადიანებს რაღაც მიზეზით გული აუყრიათ აქაურობაზე და ოსმალოში გადასახლებას აპირობენ. რამდენიმე მოსახლე ქობლიანიდგან უკვე აიყარა და გადასახლდა.

*** გორი: ისე წელიწადი არ გაივლის, რომ ყურძნის გამო ან არავინ დასჭრან და ან არავინ მოჰკლან: ხან ქურდები ჰკლავენ საწყალს მებაღეებს და ხან მებაღეები—ქურდებს. როგორც ვუწყით, 28 აპრილს შუაღამისას, გორში დიდი თოფის სროლა ასტყდა და მიზეზი-კი ვერ შევიტყო. დღეს აღმოჩნდა, რომ ეს თოფის სროლა ამტყდარა ქ. გორის ერთს საუკეთესო ბაღში, რომელიც ბ-ნ გამბაროვს ეკუთვნის. ხუთს მებაღეს თოფები დაუშენიათ არტილერიის ჯარის-კაცებისათვის, რომელნიც ბაღში გადაპარულიყვნენ ყურძნის მოსაპარავად. მებაღეებს ერთი ჯარის-კაცი დაუჭრიათ და მერე გაჰქცევიან გამძვინვარებულს შეიარაღებულს ჯარის კაცებს. დღეს საკაცეთი წაიღეს დაჭრილი ჯარის-კაცი სამკურნალოში. ამბობენ, რომ მძიმედ არის დაჭრილიო. ამ დღეებში კიდევ ერთს ჯარის კაცს სცემეს ტერ-აკოფოვის ბაღში ქურდობისათვისვე. შარშან ერთი მოჰკლეს კიდევაც ამავე საქმისათვის. ეხლა ხმა დადის, რომ ბაღის პატრონებს განზრახვა აქვთ, ყოველ წლივ უსასყიდლოდ რამდენიმე გოდორი ყურძენი გაჰგზავნონ ხოლმე ყაზარმებში ჯარის კაცებისათვის და ამასთან სთხოვონ, ვისაც ჯერ არს, რომ ღონისძიება რამ იხმარონ, ზემოხსენებულ უბედურებათა თავიდგან ასაცილებლად. (გაზ. „Нов. Обоз“.)

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ცნობილი არმენისტი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კონიბირი. როგორც გაზ. „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, სამეცნიერო აზრით ჩამოსულა კავკასიაში კონიბირი. ამ დღეებში კონიბირი აქედგან ეჩმიაძინში გაემგზავრება, სადაც შარშანაცა ყოფილა, ისტორიულ ნაშთთა გამოსაკვლევად.

*** გაზ. „მშაკ“ აუწყებს, რომ ცნობილი მოთხრობა გრაფ ლევ ტოლსტოისა კრეიცერის სონატა“ უკვე გადათარგმნილია სომხურს ენაზედაო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ყარაიაზში, მკის დროს, 29 სექტემბერს, ასე დილის 11 საათზედ, სამს ვიღაცა უცნობს, შეხედულობით ქართველებს, თოფი უსროლიათ და სოფ. თაკლას მცხოვრებელი ბაირამ-მამედ-ოღლი მოუკლავთ. ამ მკვლელულობის მიზეზი ჯერ ნამდვილად ვერ შეუტყვიათ.

## დაბა ღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხიდისთავი** (გორის მაზრა), 1 ოქტომბერს. თუმცა ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა „ივერიის“ ფურცლებზედ, რომ ხიდისთავში, სადაც ორას კომლამდე მცხოვრებია, არავითარი სასწავლებელი არ არსებობს, და პატარა სოფლებში-კი სკოლებია გამართულიო, მაგრამ ყველა ეს ნათქვამი და დაწერილი დარჩენილა მხოლოდ „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ ღ აქ სკოლის დაარსებაზედ აქამომდე რიგიანად თავი არავის შეუდვია. ამ ბოლო დროს, ჩვენდა სასიამოვნოდ, გამოჩნდა სოფლისათვის ისეთი გულშემატკივარი, რომელმაც თავს იდვა ხიდისთავში სკოლის გამართვის საქმე. ეს გახლავთ ქ-ნი ლ. გ. ასული ა—ისა, რომელიც, აგერ სამი თთვე მეტია, ერთის აქაურის მკვიდრის დარბაზში ოც-და-ხუთს ქალ-ვაჟს უსასყიდლოდ ასწავლის. იგი, გამსჭვალული იმ წმინდა აზრით, რომ ხიდისთავში როგორმე სკოლა დაარსდეს, ძალიან ცდილობს, რომ ეს დაწყებული საქმე კეთილად დაგვირგვინდეს.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ-კი, რომ ქ-ნს ა—ისას ყველასაგან, ერის კაცი იქმნება თუ მღვდელი, თავადი თუ აზნაური, ამ საქმეში დახმარება და შველა სჭირია. თუ აქ რიგიანი სკოლა არ დაარსდა და მასწავლებელსაც ჯამაგირს არ დაუნიშნავენ, ზემოხსენებული სკოლა, რომლის არსებობაც ბეწვზედ ჰკიდია, ბევრს ხანს ვერ გასტანს, დღეს თუ ხვალ გადაიცვლება და მისი აღდგენა ძნელიღა იქნება. მართლა რომ ეს

# ფელეტონი

### ჰარამ-ხანის სურათი

(ფსიხოლოგიური ეტიუდი)

(დასასრული იხ. „ივერია“ № 210)

„აბა, გინდათ, თქვენც ამათ დასში ჩაეწეროთ?..“ ეს სიტყვები რო მოაგონდა, სოლომონი შეიჯმუხნა და ხელები გააფათურა: „ეგ ტყუილია, მეც ვიყავი ცოტა ხნობით, მაგრამ არ გამოვტვინებულვარ“. ამ სიტყვებს შემდეგ სოლომონს მოაგონდა ახლა სამსახურში შესვლა—ის დრო, როდესაც უმაღლესის სწავლით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში, მაშინვე ტფილისისკენ გაეშურა სამსახურში შესასვლელად და ჩქარაც შევიდა თავის დედიდა მარიამის წყალობით, რომელიც ფრიად განთქმული იყო—(ჭკუითა და გონებით-კი არა; ამ თვისებით ტფილისში დედაკაცი ძნელად გაითქვამს სახელს) თავისის სილამაზით.

მარიამი მარცლაც ისეთი ლამაზი იყო, რომ ძნელად თუ რომელიმე წვეროსანი გულ-გრილად დაუწყებდა მზერას. იმის დანახვაზედ კაცს, ღრმად მოხუცებულსაც-კი, პირში ნერწყვი მოუვიდოდა და თუ პირს მაგრად არ მოჰკუმავდა, იქნება ნაკადულივით დორბლსაც გადმოეხეთქნა. ამისთანა სილამაზისა იყო დედი და მარიამი და აბა რომელი თავხედი უფროსი არ აასრულებდა იმისს თხოვნას.

აი, სწორედ ამ დედიდა მარიამა შეაყოფინა თავი ერთს დაწესებულებაში, სადაც ეხლა კარგი ადგილი უჭირავს, თუმცა-კი ექვსი თთვე უჯამაგიროდ იყო და უბრალო გადამწერლის თანამდებობას ასრულებდა; მაგრამ ეს ექვსით თთვეც საკმარისი იყო, რომ სოლომონის თავის ჩარხები ისე მოეწყოთ, როგორცა ჰსურდათ, ან როგორც სხვა იქ მსახურების თავი იყო მოწყობილი. იმ ექვსის თთვის განმავლობაში იმ ნაირად მოიმართა და ისე მოეწყო, რომ სხვა თავისს ძმებს არ ჩამოუვარდებოდა. დაწესებულების ადამის ჟამის დროს მიღებულის წერილების ფორმები ისე შეითვისა, რომ კალმით, ხელი რომ ისეც გაექნია, მაშინვე „მაქვს პატივი, წარმოგიძღვნა... და ამისათანავე უმორჩილესად გთხოვთ...“ და სხ. გამოიხატებოდა. იმისი თავი გამადიდებელის შუშითაც რომ გაგესინჯათ, ამაზედ მეტს ვერას ჰპოვებდით; მაგრამ სოლომონი ამას გამოტვინებას არ ეძახდა და აი ამისთვის წარმოსთქვა ეხლა ის წინააღმდეგი აზრი, არ გამოვტვინდიო, როცა თავის ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები მოაგონდა.

ამას შემდეგ სოლომონი ისევ გატვრინდა და გონების თვალი ისევ იმ სალამოს დაუბრუნა... „...მაშასადამე, მოაგონდა სოლომონს ისევ თავისი ამხანაგის სიტყვები, ჩვენ ამ ეკლით სავსე გზაზედ ბევრი გაჭირვება, ბევრი უსამართლობა დაგვატყდება, მაგრამ რაც ძალი და ღონე შეგვწევს, უნდა ვეწინააღმდეგოთ ამ უსამართლებას, ამ გაჭირვებას. ეკლიანი გზაა, მაგრამ ფხიზელია და სიფხიზლე ხომ ადამიანის ერთი საუკეთესო განძთაგანია, მაშ ნუ შევუშინდებით ამ ეკლიანს გზას, ზედ ვიაროთ, თუ რამ უბედურობა შეგვემთხვა, რაც ხშირად მოსალოდნებია, ჩვენც ისე მოვიქცეთ, როგორც მთავარ ანგელოსი ურჩევს თავის ქვეშევრდომთ „ფაუსტში“:

Чего чуждаетесь,
Къ тому не льните;
Чѣмъ возмущаетесь,
Вы не терпите.
Передъ насиліемъ
Стойте съ усиліемъ“

„ამით ვათავებ ჩემს სიტყვებს და ამასთანავე ჭიქასაცა ვცლი.

სოლომონს მოაგონდა, როგორის „ვაშა, ვაშას“ ძახილითაც დააჯილდოვეს ორატორი და შემდეგ ამისმა

ასრე მოხდეს, ცოდონი არ იქმნებიან ის პატარა სკოლის მოსწავლენი, რომელთაც ამ მოკლე ხნის განმავლობაში ქართული წერა-კითხვა უკვე უსწავლიათ?! მაშინ ხომ იმათ ძალაუნებურად უნდა მიატოვონ წიგნები და დაივიწყონ ისიც, რაც შეიძინეს.

ბარემ გლეხ-კაცობასაც შიგა-დაშიგ ძლიერ უნდა სკოლა და არც არაფერს დაიშურებს იმის გამართვისათვის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთს ვაჟბატონს სკოლა ჩალად არ ულირს და აბა ისინი რად მოიწადინებენ სკოლას? ეს ვაჟბატონები სხვასაც გულს უცრუებენ სკოლაზედ. აი ამისათვის მოგახსენებთ, ამ საქმეს ყველასაგან შემწეობა და დახმარება უნდა მეთქი...

კარგი იქნება, რომ ამ დაწყებულს კეთილს საქმეს დაეხმაროს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და ბატონი მაზრის უმფროსი. იქმნება მაშინ მაინც როგორმე გაიმართოს ხიდისთავში რიგიანი სკოლა.

ღმერთმან დაუმადლოს მასწავლებელს, ქ-ნს ლ. გ. ასულს ა—ისას, რომელიც სკოლის შეგირდებს უსასყიდლოდ ასწავლის და რომელიც კვირა-უქმე დღეებში სკოლის დარბაზში ხალხს უკითხავს სხვა-და-სხვა ქართულს წიგნს, რაიცა ხალხს ძალიან მოსწონს, გულმოდგინედ ყურს უგდებს და აღტაცებაში მოდის. ღმერთმა დაუმადლოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომელმაც მუქთად გამოუგზავნა სკოლის შეგირდებს ქართული სახელმძღვანელო წიგნები; მადლობის ღირსია აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“, რომელმაც გამოუგზავნა მასწავლებელს ქართული წიგნები, სახალხოდ საკითხავი.

ჩვენს სოფელში ვერ მოისპო ქურდობა და ავ-კაცობა და ვერა, თუმცა მოყადაღეები რიგიანად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას და ქურდებს და ავ-კაცებს სასტიკად სჯიან. აი რამდენიმე მაგალითი ქურდობისა და ავ-კაცობისა. წარსულის თთვის 23-ს ღამის რაინდებმა ერთს მებაღეს-იმერელს მოჰპარეს თორმეტი თუმანი ფული, ვერცხლის ხანჯალი და ნაბადი. საბრალო მებაღემ ეს საქმე ბ-ნს ხიდისთავის ბოქაულს გამოუცხადა. ბ-ნს ბოქაულს ქურდი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნია. ამ საქმეზედ გამოძიება სწარმოებს. ამ ქურდობის მეორე დღეს, ე. ი. 24 სექტემბერს, დღისით, აქაურს აზნაურიშვილს ლ. ა—შვილს ჰალაში ვიღამაც თოთით მოუკლა კარგი მატარებელი ცხენი. ბოროტ-განმზრახველი ვერ იპოვნეს. ამ საქმეზედაც გამოძიება სწარმოებს. ამას წინად ორს ხიდისთაველს გლეხს ერთი გოდორი ყურძენი მოეპარათ ვენახეებში და ჩუმად გორს გასასყიდად წაეღოთ, მაგრამ მოყადაღეებმა გაგუეს და თვითოეთლს მათგანს თითო თუმანი ჯარიმა გადაახდევინეს.

28 სექტემბერს სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდგან ჩვენი თანამემამულე ვასილ იაგორის ძე მელვინეთხუციშვილი, ყველასაგან ცნობილი, როგორც პატიოსანი და სოფლისათვის გულშემატკივარი კაცი. განსვენებული ჯერ ისევ ახალგაზდა იყო. მისმა ასეთმა უდროვო სიკვდილმა ყველა მისი მცნობნი და პატივისმცემელნი დიდად შეგვაწუხა და დაგვაღონა.

ზ. ოქუაშვილი

# რუსეთი

შარშან, 22 ნოემბერს, დამტკიცებულ იქმნა „სალიტერატორო ფონდთან“ „საურთიერთო დამხმარებელის საზოგადოების“, დაარსება. რა თქმა უნდა, რომ ეს საზოგადოება მეტად სასარგებლოა. ვინ არ იცის, რომ ჩვენშიაც ჲ რუსეთშიაც ლიტერატორთა შრომა ისე არა ჯილდოვდება, როგორც მათს უანგარო ჯაფას შეჰფერის, რათა ლიტერატორს შეეძლოს, შავის დღისთვის გადასდოს რამე, სიბერისა ან ავადმყოფობის დროს ულუკმაპუროდ არ დარჩეს და სხვის ხელის შემაყურებელი არ გახდეს. არც ერთის ჟურნალ-გაზეთის თანამშრომელს და, თუ გნებავთ, ლიტერატორსაც, თუ-კი ამავე დროს ის სხვა სამსახურშიაც არ არის, არ შეუძლიან სთქვას, რომ ხვალ უძლურებისა, სიბერისა, ავადმყოფობისა ან კიდევ სხვა რომელისამე მიზეზისა გამო სიღარიბე არ მეწვევაო.—ზოგიერთს, „ბედნიერთა“ და „რჩეულთა“ გარდა, ლიტერატურულის შრომისთვის ისეთი მცირე ჯილდო ეძლევა, რომ ყოვლად შეუძლებელია, იმ ფულს ადამიანმა გადარჩინოს რამე. კიდეც რომ შესაძლებელი იყოს, ჯერ-ჯერობით არც ერთი საზოგადოება არ არსებობს რუსეთში, სადაც ლიტერატორს შეეძლოს ყოველ თთვე ცოტაოდენი ფული შეიტანოს და სიბერის დროს სრულიად ხელცალიერი არ დარჩეს. მართალია, ამ უკანასკნელს დროს რუსეთში ბევრი დამაზღვეველი საზოგადოება დაარსდა, მაგრამ იმათში არც ერთს არ შეუძლიან ლიტერატორებისთვის სარგებლობის მოტანა და რა მიზეზით.

ყველა ეს საზოგადოება კომერციულს ნიადაგზეა აღორძინებული და სარგებლობას მოუტანს მხოლოდ ან იმას, ვისაც იმდენი ფული აქვს, რომ ერთხანად შეიტანოს თავისი ხვედრი ფული და ან ყოველ წლივ არ დააკლოს ეს ხვედრი საზოგადოებას. ამიტომ, ვიმეორებთ, სალიტერატურო ფონდი ან საურთიერთო დამხმარებელის საზოგადოების დაარსება რუსეთში ძლიერ სასიხარულო და სასიამოვნო ამბად მიგვაჩნია. აი ამ საზოგადოების წესდებაც:

საზოგადოების წევრებად იქნებიან, როგორც კაცნი, აგრეთვე ქალნიც (არა ნაკლებნი 25 წლისა), მხოლოდ სამეცნიერო და სალიტერატურო საქმისანი-კი. საზოგადოებაში, იმის მიხედვით, თუ რამდენს ფულს შეიტანს წევრი (1—50 მანეთამდე), სულ რვა ხარისხი ირიცხება. საგანი საზოგადოებისა ის არის, რომ დაეხმაროს თავის წევრთ შემდეგს ორს შემთხვევაში: 1) წევრის სიკვდილის დროს შემწეობა მისცეს მისს სახლობას და 2), სიბერის ანუ ავად მყოფობის დროს, როცა საზოგადოების წევრი ველარ მოახერხებს შრომას, შემწეობა უნდა მიეცეს თავათ მას.

ამას გარდა, საზოგადოების წევრს 25 წლის შემდეგ შეღავათი ეძლევა იმითი, რომ დროებითი გარდასახადი ან შეუმცირდება და ან სულაც ეპატიება და, თუ შესაძლო აღმოჩნდა, საზოგადოება პენსიასაც-კი დაუნიშნავს ამ გვარს წევრებს. ყველა ამ შემთხვევაში შემწეობის რაოდენობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რომელის ხარისხისა წევრი იქნება. საზოგადოების ფონდი შესდგება: 1) საზოგადოებაში წევრად შესვლის გარდასახადის ფულისაგან. (პირველად ხვედრი ფული ერთი სამათ უნდა შეიტანოს წევრმა ე. ი. 3 მ.—150 მანათამდე); 2) დროებით გარდასახადისაგან—წესდების მეორე მუხლის ძალით, ყველა წევრი მოვალეა, თავისი ხვედრი შეიტანოს იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების რომელსამე წევრს სიკვდილისა ანუ ავადმყოფობის გამო შემწეობა დასჭირდება. ამ უკანასკნელის გარდასახადის რაოდენობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელის ხარისხისაა რომელიმე წევრი და რამდენს წევრს დასჭირდება საზოგადოების მიერ შემწეობა; 3) სალიტერატურო საღამოებისა, კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სხვ. შემოსავალისაგან. ცხადია, რომ ამ საზოგადოების კეთილდღეობისა და გაძლიერებისათვის აუცილებლად საჭიროა ორი რამ: 1) საზოგადოების წევრნი უეჭველად უნდა დაემორჩილნენ საზოგადოების წესდებას და თავის ხვედრი ფული დაუყოვნებლივ შეიტანონ და 2), საზოგადოებას ყველა წევრს ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეს საზოგადოების წევრს, მიუხედავად იმისა, თუ რა მიმართულებისაა წევრი. სხვათა შორის ამ საზოგადოების წესდების მე-49 მუხლში სწერია: „თუ რუსეთის რომელსამე ქალაქში 25-ზე არა ნაკლები წევრი შეიკრიბა საზოგადობისა, ნება ეძლევათ თავიანთი საკუთარი განყოფილება იქონიონ. ამ განყოფილებას საზოგადოებაში ისეთივე ხმა და უფლება ექნება, როგორიც საზოგადოების დანარჩენ წევრთა აქვთ. ამ ნაირი კერძო განყოფილებათა დაარსება მით უფრო სასარგებლოა, რომ საზოგადოება უფრო ადვილად და სამარდლიანად შეიძლებს თავის საქმის გაკეთებას, საზოგადოებასაც წევრებს მეტს შესძენს და ეს გარემოება ხომ ხელს შეუწყობს „სალიტერატორო ფონდსაც“, რომელთანაც ეს ახალი საზოგადოებაა დაარსებული.

# უცხოეთი

**ინგლისი.** მოგვყავს უფრო ვრცლად სიტყვა, წარმოთქმული გლადსტონის მიერ ქალაქს ნიუკესტლში. ეს სიტყვა, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, გლადსტონმა წარმოსთქვა ლიბერალთა ფედერაციის კრებაზე, რომელსაც ოთხი ათას კაცამდე დაესწრო. შედგა თუ არა ფეხი ორატორმა კათედრაზე, დამსწრე ხალხი მაშინვე ფეხზე წამოდგა ჲ ტაშის კვრა ასტეხა.

იმედი მაქვსო, მიჰმართა ორატორმა მსმენელთ, რომ მხედველობაში იქონიებთ ჩემს მოხუცებულობას, დაძაბუნებას და შემიწყნარებთო—„რაც ადრევ ჯანი ჲ ღონე მქონდა, ეხლა ის ჯანი და ღონე აღარა მაქვსო“. შემდეგ განაგრძო: „აქ თავი მოგიყრიათ ნიუკესტლის მოქალაქეთა, რომელთაც გულში გიღვივით ლიბერალური გრძნობანი. ამ ჟამად ეს გრძნობა გავრცელდა, გაძლიერდა და ყოველგან მოიფინა ჩვენის სამშობლოს მკვიდრთა შორის. ბატონებო, თქვენ ხაწგრძლივ ჲ ცხარე ბრძოლა გამოვლილი ბრძანდებით. 1886 წელს ძლიერი დამარცხება დაგვატყდა თავსა, მაგრამ მას აქეთ-კი, ყოველს ხუთს წელიწადს შემდეგ, საქმე უფრო ჲ უფრო გვიუკეთესდებოდა და იმედები გვიცხოველდებოდა. ხოლო ამ ჟამად შეგვიძლიან კიდეც, დაბეჯითებითა ვსთქვათ, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ. მაგრამ საქმე რომ გაგვიუმჯობესდა, ამასთანავე მოვალეობაც გაგვიორკეცდა. საჭიროა, საქმეს პრაქტიკულად მოვეკიდოთ და აი მეც ვეცდები, საზოგადოდ მიმოვიხილო და ავწერო აწინდელი ჩვენი ყოფა-მდგომარეობა. აქ პირველადვე ჩვენ მიერ გასაკეთებელ საქმეთა ანუსხვაა გასაჭირი, რადგან ამ გვარი საქმე ძლიერ ბლომადაა თავ-მოყრილი წლითი-წლობით და უფრო მეტიც მოიყრის თავს ტორიების მმართველობის წყალობით. ამ ჟამად მიძნელდება საგნისა და საქმის ამორჩევა, რომ იმის შესახებ გებაასოთ, ხოლო შემდეგში-კი იმის ამორჩევა გაგვიჭირდება, თუ რომელს საგანს რა დროს ჲ რა ზომით უნდა მივაქციოთ ყურადღება. რა გვარადაც უნდა გავიმარჯვოთ, მაინცა და მაინც, გარდა გულ-მოდგინეობისა და ჰკვიანურის სიფხიზლე-თადარიგიანობისა, კიდევ სხვა სათნოებითაც უნდა აღვიჭურვნეთ—საჭიროა აგრეთვე მოთმენით და ხასიათის სიმტკიცით სვის გატანა. საჭიროებანი ჩვენის ვრცელის იმპერიისა იმ ნაირად სხვა - და - სხვა გვარი და რთულია, რომ, თუ ასე არ მოვიქეცით, შეიძლება ჩვენი გამარჯვება არა სასურველის აღრეულობით დამთავრდეს“.

გლადსტონმა ილაპარაკა პარლამენტის ვადის შემცირებისა, სახელმწიფო ხარჯის გაწერის განწესიერებისა და სახელმწიფო ეკონომიის თაობაზე და მას უკან აწინდელ კაბინეტის საგარეო პოლიტიკასაც შეეხო. „ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ დროება მქონდეს და შემეძლოს ამ საგანზე ლაპარაკი, რადგანაც ამ საგარეო პოლიტიკას გავლენა აქვს ჩვენს შინაურს საქმეებზედ, მაგრამ ამ ჟამად მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ, ლიბერალთა აზრით, საგარეო პოლიტიკა აწინდელის კაბინეტისა სულ სხვაა, ვიდრე ლორდ ბიკონსფილდის საგარეო პოლიტიკა იყო, მაშინ ვხედავდით ბიკონსფილდის საგარეო პოლიტიკის მავნებლობას და ხელს ვუშლიდით, ხოლო აწინდელს კაბინეტს-კი ხელს ვუწყობთ, რადგანაც მისმა საგარეო პოლიტიკამ საკეთილდოდ იცვალა მიმართულება. ხალხში ამ მხრივ ვნება-

---

სიტყვამ რა აყალ-მაყალი, სჯა და ბაასი გამოიწვია იმათ შორის. განთიადისას ერთმანეთს გამოეთხოვნენ, გადაჰკოცნენ, ყოველიიე კეთილი ისურვეს ერთმანეთისთვის ჲ დაიფიცეს, რომ ყველანი სინიდისიერად შევასრულებთ, რასაც ველტვითო.

კარგია ყველა ეს, მაგრამ ოცნებაა, ოცნება! წარმოსთქვა სოლომონმა, როცა ყოველივე წარმოუდგა თვალწინ.

შემდეგ მძიმედ გაიზმორა, ერთი საშინლად დაამთქნარა, თვალები მილულა და მძიმედ დაიწყო სუნთქვა. ტუჩებზედ-კი ღიმი უხტოდა და უთამაშებდა. იმან ბოლოს მძიმედ გაახილა, მძიმედვე გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალები და პირდაპირ კედელზედ ჩამოკიდებულს ჰარამ-ხანის სურათს ჩააკვირდა, იმ სურათს, რომელზედაც მშვენიერნი და კეკლუცნი იყვნენ გამოხატულნი. სამი ქალი იყო ამ სურათზედ გამოხატული და სამივე ერთი ერთმანეთის მჯობი. ერთი მათგანი უდარდელად იყო წამოწოლილი და წამოხურული ჰქონდა ფარჩის საბანი, რომელიც მარტო ქვედა ტანს ჰფარავდა. სიცოცხლით სავსე მკერდი და მოღიმარი სახე სოლომონისაკენ მიექცია. მეორე თავით ეჯდა ამ ქალს, მესამე-კი ფეხზედ იდგა. სამივეს თითო თუთიყუში ეჯდა სალოკს თითზედ და ეალერსებოდნენ. „რა კარგი იქნება, რომ გაცოცხლდნენო“, ცოტა ხნის, შემდეგ გაიფიქრა სოლომონმა და უფრო ძალიან ჩააკვირდა ამ სურათს.

ღამის ლამპარი-კი თავისებურად შიშინებდა. იმისი ალი მძიმედ იბუშტებოდა და ოთახს მკვარივით ანათებდა; მაგრამ უეცრივ იფეთქავდა, მოიღებდა ოდნავ ტკაცანს, ძირს ჩაექანებოდა ჲ ოდნავ მბჟუტავს წერტილს-და ემგსავსებოდა. ასე ადიოდა და ჩადიოდა ლამპრის ალი, რომლის მოძრაობაზედაც მთელი ოთახი და მისი მოწყობილობა ციმციმებდა.

სოლომონმა ინატრა იმათი გაცოცხლება და მერე კულავ ათასნაირს ოცნებას მიეცა, იმის ფიქრმა წაიღო, როგორ ვისიამოვნებდი, რომ გაცოცხლებულიყვნენო. სურათისთვის თვალი აღარ მოუშორებია.

თითქოს სოლომონს ნატვრა უსრულდებაო, სურათი თან-და-თან მოძრაობაში მოდის. აგერ თუთუყიშებიც შეიძრნენ, ფრთები შეიბერტყეს, შეფრთხრიალდნენ და ქალებს უეცრივ ხელიდგან გაუსხლტნენ. ქალებს თუთიყუშების თავ-გახელება არ ესიამოვნათ და სახე შეიჭმუხნეს უსიამოვნობის ნიშნად, ერთი მათგანი ისარივით იატაკზედ ჩამოეშვა და თუთიყუშებს დაედევნა. სხვა ორი ქალიც მიეშველა და ეხლა სამი ხოლო შობილი ქალი ცდილობდა თუთიყუშების დაჭერას, მაგრამ გაეშმაკებული თუთიყუშები მაღლა დაფრინავდნენ და დაცინვით თავს დასჩხაოდნენ. საწყალი ქალები დევნით მოიქანცნენ, ვერას გახდენ-რა, თითქოს ამათმა მოქანცულობამ სხვა სურათების ქალებ შორის სიბრალული აღძრა, ისინიც მიეშველნენ ამათ. აი ეხლა გაიმართა საზოგადო სირბილი, ყიჟინყვირილი, სიცილ-კასკასი, ხვევნა-კოცნა...

სოლომონი ჰხედავს ამ სურათს. უნდა ისიც წამოდგეს და ამ ხოლო შობილთა გუნდში ჩაურიოს, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

აქამდის შეუმჩნეველი, ეხლა ერთმა ყველაზე ლამაზმა ჰარამ-ხანის ქალმა, რომელიც იმის პირდაპირ შესდგა, შენიშნა სოლომონი. ქალმა გაუღიმა, შეათამაშა მკერდი და იმისკენ სრიალით წამვიდა. სოლომონი აღტაცებაშია. წამოვარდა ლოგინიდგან და ხელები მოსახვევნად გაშალა, მაგრამ... მაგრამ იატაკზედ-კი პირქვე გაიშხლართა. ამ დროს მოესმა საშინელი კასკასი.

„ჰა!“ შეჰღრიალა სოლომონმა და მარდად წამოდგა, მაგრამ მარტო ოდენ საათის კაკუნი და ლამპრის შრიალი-ღა მოესმა.

შ. არაგვისპირელი

თა ღელვა მოისპო, სალისბიურის მოქმედებამ ამ საქმეში მართლიერება ჩამოაგდო და სწორედ ამიტომა ვცდილობთ ჩვენცა, ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ. აქვე მინდა კიდევ ერთი რამ ვსთქვა: ვერ შესძლებს და ვერ მოახერხებს ლორდი სალისბიური, რომ ეგვიპტის საქმე სრულიად მოგვაშოროს თავიდგან, რადგანაც ეს საქმე მრავალ გვარს სიძნელესა და გაჭირვებას გვატეხავს თავზე? ეს ხათაბალა ადრინდელმა ტორიების მთავრობამ აგვიტეხა და ვეჭვობ, რომ აწინდელმა კაბინეტმა ტორიებისამ შეაძლებინოს თავის შემდეგს მოადგილეებს მისი გადაწყვეტა“.

„იმ საგანთა რომ სიმრავლეს ვუფიქრდები, რომელსაც უნდა შევეხო, ერთის პოეტის ამბავი მაგონდება, მრავალი სათქმელი რომ ჰქონდა და მუზას ევედრებოდა, ათი ენა და პირი მომე სალაპარაკოდაო“. უმთავრეს და საჭირო საგანთა ანუსხვას რომ შეუდგა, უწინარეს ყოვლისა გლადსტონმა აღნიშნა სასმელებით ვაჭრობის კანონებში ცვლილებათა შემოღების საჭიროება, რათა მოსპობილ იქმნას მრავალ გვარი უხერხულობა ამ საქმის აწინდელის წესწყობილებისაო. გლადსტონმა ილაპარაკა აგრეთვე ვალისის სამთავროისა და შოტლანდიის აწინდელ ეკკლესიისთვის მთავრობის მიერ მფარველობის მოსპობის თაობაზედაც და დასძინა, მეძნელება, ვსთქვა, თუ ჯერ სად არის საჭირო ამ საქმის გაკეთება, შოტლანდიაში, თუ ვალისის სამთავროშიო, „საიდგანაც უნდა დავიწყოთ, ეს სულ ერთი იქნება, ერთგან რომ გავაკეთებთ საქმეს, ეს გარემოება მეორედგან იმავე საქმის გაკეთებას გაგვიადვილებსო“.

„ერთს საქმეს კიდევ უნდა შევეხო, ხოლო მცირედად-კი, თუმცა იგი საქმე ძლიერ დიდი და საყურადღებო საქმეა. მე მოგახსენებთ— ლორდთა პალატის თაობაზე. ეს საქმე, როგორც მოგახსენეთ, დიდი თვალსაჩინო საგანია, მაგრამ, რადგან ამ ჟამად სხვა მრავალი, უფრო საყურადღებო რამ გვაქვს გასაკეთებელი, შეიძლება, ისე ვიანგარიშოთ, ვითომც იგი წინ წამოუყენებული საქმეა (ხალხში ხმა ისმის: არაო). მე წინააღმდეგი არა ვარ იმისი, რომ ჯერ კიდევაც გაუხანგრძლივდეს ამის განხილვას ვადა, თუკა ლორდთა პალატა ფრთხილად, ჭკვიანურად მოეკიდება საზოგადო საქმეებს და ამ სახით დაიმსახურებს გახანგრძლივებას ვადისას. თუმცა ამ გვარ სამერმისო საქმედ მიგვაჩნია ლორდთა პალატის საქმე, მაგრამ ერთს რამეს შეუძლიან იგი გაამწვავოს და დასაჩქარებელად გახადოს. ეს მაშინ მოხდება, თუ ლორდთა პალატა პირველ მინისტრის რჩევას აჰყვება. ამ ერთის თქვენის წინად სალისბიურიმ სთქვა, შეიძლება საზოგადო არჩევანების დროს ლიბერალებმა გაიმარჯვონო, შეიძლება საზოგადოებათა პალატამ ჰომრული შეიწყნაროსო, მაგრამ საქმე ამითი არ გათავდება, რადგან ჩვენ მომხრენი კიდევ შევრჩებიანო. ამ მომხრეებად სხვა არავინ არ იგულისხმება, გარდა ლორდთა პალატისა. მხოლოდ ამ პალატას შეუძლიან, შუაში გაიხიდოს და ხელი შეუშალოს, რომ ხალხმა თავისი სურვილი კანონად აქციოს. ლორდთა პალატამ უკვე მოიქმედა ერთი ამ გვარი საქმე 1831 წელს და ცვლილებათა ბილლი არ შეიწყნარა. მაგრამ რა გამოვიდა: მხოლოდ 12 თვით შეჩერდა იმ საქმის აღსრულება და ლორდთა პალატამ ამის გამო მხოლოდ დიდი დამცირება გამოიარა და ნდობა დაჰკარგა. იმედი მაქვს, რომ ლორდთა პალატა არ შეიწყნარებს პირველ მინისტრის რჩევას—დარწმუნებული ვარ, უარს იტყვის და სახათაბალოდ არ გაიხდის თავისს მდგომარეობას. მაგრამ თუ გაბედეს და დასთანხმდნენ—ეხლავე ვამბობ: ეს საქმე პირველად თითონ იმათვე გაუხდებათ სანანურად. ამ გვარის ქცევით იგინი ისეთს საქმეს წამოაყენებენ წინა, რომ უწინარეს ყოველის სხვა საქმისა ის გაგვიხდება გადასაწყვეტი: იმ საქმემ უნდა გამოააშკარავოს, ინგლისი თვითმმართველი ერია, თუ მმართველობასა და ერს შუა ძალა რამ არის გახიდული და იმ ძალას შეუძლიან, შეაფერხოს მოქმედება კონსტიტუციისა, რომლის განწესიერებისა და განკარგებისათვის დაუღალავად და თავ-განწირვით შრომობდა და იღვწოდა რამდენიმე დაბრძენებული მამულის მოყვარე თაობა“.

(დასასრული იქნება)

## სასამართლოს მატიანე

(წერილი ქუთაისიდგან)

ბარამ მდივნისა და მისის მეუღლის სალომეს საქმე.

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 210)

საღამოს ხუთი საათ ნახევარი იყო, სასამართლომ რომ დაასრულა მოწმეთა გამოკითხვა. სხდომა გადადებულ იქმნა საღამოს რვა საათამდე. ბრალმდებელმაც სთქვა თავისი სიტყვა. პროკურორის ამხანაგმა იმითი დაიწყო, რომ დღევანდელი საქმე მეტად რთული და მძიმეაო, რადგანაც პირველის შეხედვით ნამდვილი დამნაშავე არა სჩანს, საქმიდგანაც პირდაპირ არა სჩანს, ვინ ჩაიდინა ის საზარელი დანაშაულობა, რომელმაც მთელის საზოგადოებისგრძნობა აამღვრია, რომელიც ეგოდენად საზიზღარი და ძნელად წარმოსადგენიაო. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჩვენ მოვალენი ვართ, საქმის გარემოებას კარგად ჩავუკვირდეთ, ყველა იმ ცნობას, რაც გამოძიებამ აღმოაჩინა და რაც დღეს მოწმეებმა გვიამბეს, კვალში ჩავუდგეთ და აღმოვაჩინოთ ნამდვილი დამნაშავეო. მე წეღანა ვსთქვიო, რომ ნამდვილი დამნაშავე არა სჩანს, მაგრამ მასალა ხელთ იმდენი გვაქვს, რომ, თუ ჩავუკვირდით და სხვა-და-სხვა ცნობა ერთმანეთს დავუპირდაპირეთ, იმ დანაშაულობის ჩამდენს მივაგნებთ. ერთი ბრალდებულთაგანი—ი. ბობოხიძე ამბობს, რომ მე მქონდა ბაბილინა აბაშიძესთან კავშირი, მე ვყვარობდიო; 18 აგვისტოს ვსთხოვე დამყოლოდა და, როცა არ დამყვა ნებაზე, გავცხარდი, ვერ მოვითმინე და რევოლვერი დავახალეო, მაგრამ ბობოხიძის ნაამბობი ყოვლად დაუჯერებელია. ბობოხიძემ ოთხჯერ შესცვალა თავისი ჩვენება, ალბად იმიტომ, რომ ციხეში ორ დანარჩენ ბრალდებულთან აქვს საქმე და იმათგან არის ჩაგონებული; თორემ საქმეში არც ერთი ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ ბობოხიძეს განსვენებულთან რაიმე საქმე ჰქონოდაო. ექიმის ექსპერტიზიდგან სჩანსო, რომ ბაბილინა ქალწული ყოფილა და ამიტომ ბობოხიძის შესახებ ბევრს არაფერს ვიტყვით. ბარამ მდივანი და მისი ცოლი ამბობენ, ქალმა თავი მოიკლა რევოლვერითაო, მაგრამ არც ეს არის დასაჯერებელი. გაიხსენეთ, რომ მოწმეებს, რომელნიც რევოლვერის ხმაზე პირველნი მივარდნილან ბარამის სახლში და ბაბილინა სულთმობრძავი უნახავთ, რევოლვერი ვერ შეუნიშნავთ, ვერც ტახტზე, ვერც სტოლზე და ვერც ოთახის იატაკზე. გარდა ამისა გაიხსენეთ ისა, რასაც ამბობს ერთი მოწმე: ის ამბობს, რომ, როცა გავიქეცი ბარამის სახლისაკენ და სახლში შევედი, ბარამ მდივანი იქ არ დამხვდაო; ამიტომაც დასაჯერებელი არ არის ბარამის ნათქვამი: ბაღში ვიყავი და, როცა რევოლვერის ხმა გავიგონე, გამოვიქეცი სახლისაკენაო. ამ სახით სახლში ერთად ყოფილან ბარამი, მისი ცოლი და ქალი. არსაიდგანა სჩანს, რომ სხვა უცხო ვინმე მისულიყო იქ, და კიდევაც რომ ყოფილიყო ვინმე, ადვილად შევიტყობდით, არ დაიმალებოდა. ამიტომ ბარამსა და მისს ცოლს ვწამებ ბაბილინას მოკვლასა. ეხლა ვიკითხოთ, რამ ჩაადენინა ამ ორს ადამიანს ეგეთი მძიმე დანაშაულობა? ესეც ძნელი სათქმელია, ხოლო აქაც შესაძლოა, კაცმა საქმე გაარკვიოს. როგორც სჩანს, ბაბილინა აბაშიძისა კარგის ქონების პატრონი იყო; მამისეული მამული თხუთმეტ ათას მანეთამდე ღირებულა და ეს მამული ქმარსა და იმისს ცოლს ჰქონიათ ხელში და საკუთრად იმათ უჭამიათ. ამ მამულის პატრონს—ბაბილინას ცუდად ეპყრობოდნენ, სახლიდგან არ გამოჰყავდათ, არ აცმევდნენ რიგიანად და, როგორც ერთმა მოწმემ სთქვა, ბაბილინამ არც-კი იცოდა, რომ კარგის მამულის პატრონი იყო. ცოლ-ქმარი მდივნები არც ათხოვებდნენ ქალს, თუმცა სასიძოებიც აღმოჩნდნენ; ისეთს პირობას სთხოვდნენ სასიძოებს, რომ არც ერთი იმათგანი არ დათანხმდა ქორწინებაზე; ზოგს ბაბილინას ქონების წილის დათმობას სთხოვდნენ და ზოგს იმის პირობას, რომ მამული სრულიად ჩავიბარეთ და მდივნებთან არავითარი ანგარიში არა გვაქვსო. ნუ დაივიწყებთ, რომ ბარამ მდივანი, ვითარცა მზრუნველი, განაგებდა ბაბილინას მამულს, არა-კანონიერად იქცეოდა და ალბად პასუხის გებისაც ჰშინებია; იმის ფულს თავისად ავალებდა და სხვ. ტყუილს ამბობენ ბრალდებულნი, განსაკუთრებით დედა, რომ ბაბილინა სულსა და ყველა დანარჩენს შვილს მირჩევნოდაო. ცხადადა სჩანს, ბაბილინასთინ ცუდი დამოკიდებულება ჰქონიათ. ეს ქალი უნდა გათხოვებულიყო და მასთან ანგარიში უნდა გაესწორებინათ. ალბად როგორმე ვერ მორიგდნენ და ამ მოურიგებლობის შედეგი იყო ეგ მძიმე დანაშაულობა. ჩემის აზრით, ბარამსა და იმის ცოლს წინადვე განზრახული ჰქონიათ ბაბილინას მოკვლა და რომ ბრალდება თავიდგან აეცილებინათ და სხვებს ეფიქრათ, ქალმა თავი თვითონ მოიკლაო, საბრალო ქალს ახოში რაღაც მაგარი სხეული დასცეს. შესაძლოა მაგ მძიმე ჭრილობით მოკვლამდე დაეჭრათ ბაბილინა, როგორც ექიმი ამბობს, ხოლო საკუთრად მე მგონია, რომ სიკვდილს შემდეგ დაუშავებიათ ქალისათვის საშო იმ რაღაც მაგარის სხეულით. ამიტომაც მე შემამსუბუქებელს გარემოებას ვერავითარს ვერა ვპოვებ საქმეში, რის გამოც ვთხოულობ ბარამ მდივანი და მისი ცოლი სალომე იმდენად სასტიკად დაისაჯონ, რამდენადაც კანონი თხოულობს ამ გვარს შემთხვევებში.

ბრალმდებელს შემდეგ ილაპარაკა ბარამ მდივნის ვექილმა ბ-ნმა მ. ქიქოძემ. ვექილმა სთქვა, რომ ბარამის საქმე სრულიად უნდა განვაცალკეოთ სხვა საქმეებისაგან; ბარამის საქმისათვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ ჩაიდინა ეგ დანაშაულობა. ცხადი ის უნდა იყოს, რომ თვით ბარამი აქ არაფერს შუაშია. ზოგის მოწმის ლაპარაკიდგან სჩანს, რომ, როცა რევოლვერი გაისროლეს, ბარამი სახლში არა ყოფილა; ერთს მოწმეს რევოლვერი სტოლზე უნახავს, როცა ოთახში შესულა. საეჭვო არის იმ მეორე ჭრილობის გაჩენა. ექიმი ამბობს, რომ სიცოცხლის დროსვე უნდა დაეჭრათ ქალი იმ ჭრილობითაო, ესე იგი, რევოლვერის დაცლის შემდეგ, იმ დრომდე, ვიდრე საბრალო სულს დაჰლევდაო. ეს აზრი მე ნამდვილი არა მგონია, რადგანაც, რა წამსაც რევოლვერის ხმა გაისმა, მეზობლები იმ წამსვე მოსცვივდნენ და კარგა ხანს სახლიდგან არ გასულან. ბარამსა და იმის ცოლს დრო და საშუალება არ ექნებოდათ, რომ ეგეთის ჭრილობით დაეჭრათ მომაკვდავი ქალი. რაც შეეხება იმას, ვითომ ქალს ეგ ჭრილობა სიკვდილის შემდეგ გაუჩნდაო, არც ეს არის დასაჯერებელი, რადგანაც ექიმი ამბობს, რომ ეგეთი შემთხვევა ყოვლად წარმოუდგენელიაო; იმის შესახებ, თუ ვითომ რა მიზეზით უნდა ჩაედინათ მდივნებს ეგ დანაშაულობა, უნდა ვსთქვათ, რომ ამათ არავითარი ანგარიში არ ჰქონდათ ბაბილინას მოკვლისათვის. როგორც აღმოჩნდა, ცოლ-ქმარნი ბაბილინას მამულით იბრუნებდნენ სულს, და ის ადამიანი როგორღა უნდა მოეკლათ, რომლის მამულიც ხელიდგან უნდა გამოსცლოდათ. ნურც იმას დაიჯერებთ, ვითომ მდივნები ცუდად ინახავდნენ ბაბილინა აბაშიძისას. ამას მხოლოდ ერთი მოწმე ამბობს, ისეთი მოწმე, რომელსაც ბარამის შინაურობისა არა სცოდნია-რა, რადგანაც მთელი რვა წელიწადი პეტერბურგში უცხოვრნია. მეზობლები და ნათესავები იმას მოწმობენ, რომ მდივნებს ძალიან უყვარდათ თავიანთი ქალიო. რაცა ვსთქვი, იქიდგანა სჩანს, რომ ბარამს არავითარი მიზეზი არა ჰქონდა ბაბილინას მოკვლისათვის. არც მოწმეთა ჩვენებიდგანა სჩანს, რომ ეგ დანაშაულობა იმას ჩაედინოს. ბ-ნი ბრალმდებელი ბრძანებს, რომ იქნება ბარამ მდივანს და იმისს ცოლს ეშინოდათ, ვაი თუ ბაბილინამ და იმისმა ქმარმა, როცა ბაბილინას გავათხოვებთ, პასუხი მოგვთხოვონ მამულის შესახებაო და ამიტომ არჩიეს ბაბილინას მოკვლა და თავიდგან აცილებაო. არც ეს აზრია შესაწყნარებელი, რადგანაც ბაბილინა და მისი ქმარი უფრო შეიბრალებდნენ მდივნებს; ბაბილინას ნათესავები-კი არას გზით არ შეუნდობდნენ მდივნებს მამულის გაფლანგვას, ბაბილინა რომ მოეკლათ და ამის მამული იმათ ხელში რომ გადასულიყოვო.

ბ-ნი ვ. ტატიშვილი, ვექილი სალომე მდივნისა, ამბობდა, რომ ეს საქმე იმდენად რთული და მძიმეა, რომ მეტად გასაჭირია მისი გარკვევაო. თვითონ მოიკლა თავი ბაბილინამ, თუ სხვა ვინმემ მოჰკლა, ამას დაბეჯითებით ვერსაიდგან ვერ შევიტყობთ. ჩემმა მარწმუნებელმა სალომე მდივნისამ თუ მართლა მოჰკლა თავისი ქალი, იმას მაინც ვერ შევსწამებთ, რომ შვილის-კვლა განზრახ ჩაედინოს. ამას გარდა, ბ-ნმა ტატიშვილმა გაარკვია ზოგიერთი ცნობა და გარემოება დ სიტყვა იმით დაასრულა, რომ მოსამართლეებს სიფრთხილე სთხოვა. სამართალს საქმე დედასთანა აქვსო და გახსოვდეთ, რომ დედას იმ დანაშაულობისთვის, რომელიც ბრალდება, სამუდამო კატორგა მოელისო.

ბ-ნი პობედაში, ვექილი ივანე ბობოხიძისა, ამბობდა, რომ ჩემი მარწმუნებელი იმდენად გონება ჩლუნგი და გაუხსნელია, რომ სხვის დანაშაულობას თვითონ კისრულობსო. საქმიდგან მხოლოდ ისა სჩანს, რომ ბობოხიძემ არ აცნობა მთავრობას, რომ მდივანის სახლში რაღაც უბედურება მოხდაო. ბობოხიძის გონება და გრძნობა რაღაცა გარეშე ძალას შეუპყრავს და ამიტომ ამბობს, ეგ საზარელი დანაშაულობა მე ჩავიდინეო. დასასრულ ვექილმა ითხოვა, რომ სასჯელი შეუმციროთ ივ. ბობოხიძეს და მხოლოდ ის იქონიეთ სახეში, რომ ბობოხიძემ მთავრობას არა აცნობა-რაო.

თერთმეტს საათზე მეტი იქნებოდა, როცა ვექილებმა თავიანთი სიტყვები დაასრულეს. ღამის თორმეტს საათზე განაჩენი წაიკითხეს, აზნაურ ბარამ (იგივე სილვესტრი) ლევანის ძეს მდივანს, 40-ს წლისას, თორმეტის წლის კატორგა მიუსაჯეს, ამისს მეუღლეს სალომე საჩინოს ასულს მდივნისას (აბაშიძის ნაცოლარს, საჩინო საყვარელიძის ასულს) ოცის წლის კატორგა ბაბილინა აბაშიძის განზრახ მოკვლისათვის, და გლეხს ივანე ბობოხიძეს, რომელმაც მთავრობას არა შეატყობინა-რა, დაპატიმრება რვა თვის ვადით.

1 ოქტომბერს.
ქუთაისი.

## წვრილი ამბავი

ბუენოს-აირესში 3-ს სექტემბერს, „სან-მარტინოს“ თეატრს ცეცხლი წაეკიდება და სამის საათის განმავლობაში მთელი თეატრი გადაბუგულა. ცეცხლი ჯერ სცენას გაუჩნდა და იქ მყოფთ არტისტებს თავისის შველა ვერ მოუსწრიათ. სულ 16 არტისტი ქალი და კაცი დამწვარა. კარგის კიდევ, რომ ეს უბედურება 7½ საათზე მომხდარა, როცა ხალხი თეატრში ჯერ არა ყოფილა შესული.

— ერთს მოცლილს კაცს გამოუანგარიშნია, რომ 141,000 ბუზი ერთს კილოგრამს იწონს, ერთი ბუზი-კი $1/_{7000}$ გრამსაო.

— ერთს ვენელს თერძს ძლიერ უნდოდა თურმე, პარიჟის მსოფლიო გამოფენას დასწრებოდა. საუბედუროდ, გზის ფული არა ჰქონია და აი რა ხერხი მოუგონია. ამხანაგებს ყუთში ჩაუსვამთ და ისე გაუგზავნიათ პარიჟში. ამ გვარი მოგზაურობა ეტყობა ძლიერ მოსწონებია თერძსა და მას აქეთ სულ ყუთით დამოგზაურობს. ამას წინად ამ გვარადვე მისულა ამსტერდამში ჰოლანდიელების გასართობად.

— ახირებული ამბავი მომხდარა ირლანდიაში. დუბლინელებს კრება მოუხ-

დენით და გადაუწყვეტიათ, გაზეთი „Freeman's Journal" დაჰკეტონ. საბრალო გაზეთი ჩაუდვიათ კუბოში და მრავალის ხალხის დასწრებით დაუწვავთ.

— 1890 წელს საფრანგეთში 5011 ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, ამათში 1164 (პარიჟში 122) რესპუბლიკელების და 499 (პარიჟში 39) კონსერვატიულის მიმართულებისა. ამ ათის წლის წინად საფრანგეთში მხოლოდ 2,075 ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა.

— ინგლისში ერთს სასულიერო წოდების კაცს, ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულს, მაჰმადიანობა მიუღია. ამის გამო გაზეთები იუწყებიან, რომ ასეთი ამბავი იშვიათი მოვლენა არ არის ოსტინდიის სასულიერო წოდებაშიო. მეორეს მხრით ინგლისშიაც ძლიერ ბევრი გადასდგომია თავისს სჯულს და სხვა-და-სხვა სარწმუნოებას მიუღია.

— დიდი ხანია ამერიკელები სცდილობენ, ისეთი რამ საშუალება გამოიგონონ, რომ ადამიანს შეეძლოს, რა დროსაც ჰსურს, წვიმა მოიყვანოს. ამ საქმისათვის ამერიკაში საზოგადოებაც არის შემდგარი, რომელსაც სახელად „rain maker" ეწოდება. ამ საზოგადოებას სენატმა პირველში 10,000 დოლლარი მისცა თანხად. ეხლა-კი ამ საზოგადოებას ისე კარგად მიჰყავს საქმე, რომ ხმა ისმის, სენატი ორ მილიონს დოლლარს აძლევს ამ სასარგებლო საქმის წარმოებისათვისაო.

— ამ ბოლო დროს ძლიერ გაადვილდა დედამიწის გარშემო მოგზაურობა გამოკვლეულია, რომ რკინის გზის მატარებელს შეუძლიან მთელი ამერიკა ზღვის ერთის ნაპირიდგან მეორე ნაპირამდე სამს დღეში მოიაროს. მეორეს მხრით გამოანგარიშებულია, რომ ფოსტას შეუძლიან იოკოჰამიდამ (იაპონიაში) ლონდონში 21 დღეს მივიდეს, თუ რაიმე შემთხვევამ არ დააბრკოლა. ამ გვარად შესაძლოა, ადამიანმა 43 დღეს მთელი ქვეყანა შემოიაროს.

## დეპეშა

3 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Jourual de St.-Petersbourg"-ი ამბობს, ინგლისის საპასუხო ნოტის შესახებ, რომელიც ოსმალეთის ნოტ ის გამოიქმნა მიწერილი დარდანელზედ ხომალდების გატარების თაობაზე, რუსეთის და ოსმალეთის მორიგებას საგნად არა აქვს, უპირატოსება რამ მიანიჭოს რუსეთს, არამედ მხოლოდ კანონიერად ჰქმნის ადრევე დადგენილს წეს-რიგსაო.

**ყაზანი.** რადგან ფული შემოაკლდათ და ქალაქის მკვიდრთათვის პურს ველარ ჰყიდულობენ, ქალაქის საბჭომ უსარგებლო სესხის ხელ-მოწერა გაჰმართა ხმოსანთა შორის. 30,000 მანათამდე უკვე შეკრიბა და ხელის-მოწერა ჯერაც არ შეწყვეტილა.

**პარიჟი.** 3% რუსეთის ოქროს სესხმა თითქმის ერთი ორად და სამად უფრო ძლიერი ხელის მოწერა გამოიწვია, ვიდრე საჭირო იყო.

4 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ფრანგ-რუსების საზოგადოების ქარხნიდან ამ ცოტა ხანში ზღვაში ჩაუშვებენ ჯავშნიან ხომალდს „ნავარინს".

ახალის სესხის ერთ ნაწილზე, რომელიც უნდა შესრულდეს აქაური სააკციონერო და სახელმწიფო ბანკების შემწეობით, ხელი მოუწერიათ ბევრად მეტად, ვიდრე საჭირო იყო. ყველა ბანკებს, რომელთაც იკისრეს სესხის შესრულება, მოუვიდათ წერილება, ერთ მილიონზე ვაწერთ ხელსაო. სახელმწიფო ბანკის კანტორებიდანაც ძალიან სანუგეშო ამბები მოვიდა.

**კიევი.** გუშინ, დილის 11 საათზე, გამოასვენეს წესისამებრ განსვენებულ მიტროპოლიტის პლატონის გვამი სამიტროპოლიტო სახლიდან სოფიის ტაძარში.

**პარიჟი.** რუსეთის სესხს $7\frac{1}{2}$ მეტჯერ ხელი მოაწერეს; განაწილების დროს ხელის მომწერელნი მიიღებენ $10\%$-ზე ნაკლებ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 67 | 7, 70 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $152\frac{1}{2}$ | $153\frac{3}{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 14 | — „ | — „ |
| $5\%$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $234\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $219\frac{3}{4}$ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — „ | $211\frac{1}{2}$ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

### „ქართ.-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი" მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკულის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

---


ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ წელს, 14 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა ვერისა და მნაცაკანის ხიდის იჯარით გაცემისათვის 1892 წლის პირველ იანვრიდამ 1894 წლის პირველ იანვრამდე. გამგეობის პირობის შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე. (6—1)

---

**კელერის ძმრის ესენცია**

საყოველთაოდ ცნობილი ნამდვილი კელერის ძმრის ესენცია და აქამომდე ყველაზედ უკეთესი, ყველაზედ სარფა და ყველაზედ გემრიელია და შემდეგშიაც ამისთანავე იქნება.

რადგან ბევრი ჰბაძავს კარგის ღირსების ნაწარმოებს, რომ თავისი გაასაღოს, კელერის ძმრის ესენციის ყიდვის დროს უნდა ფრთხილად იყოთ, რომ ამ სად და გემრიელ საკმაზავის მაგიერ, ხის ძმრის სიმჟავე არ აიღოთ, შერეული და მეტად უგემური.

ბოთლზე არა თუ ფირმის ეტიკეტია ხელმოწერილი რ. კელერისა, ზედ პლომბიც უნდა იყოს, რომელიც პრობკას შუა გატარებულ მავთულზედ ჰკიდია.

ყველა საუკეთესო მაღაზიაში იყიდება ყველგან. (5—მ—2)

---

**ისყიდება**

ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში,

მ. ჯანაშვილის მიერ

დასტამბული წიგნები:

ა) „აღვადგინე" ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა " და „წმ. ნინოს ცხოვრების" გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიიდამ" ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა" და „სასწავლო წიგნისა,"

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი" და „სასწავლო წიგნი" გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღირს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაედება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

---

საზოგადოების ყურადღებოდ

თამბაქოს ფაბრიკა

**ნ. ი. ბოზარჯიანცისა**

ტფილისში

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად-

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო.

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ. (10—117—7)

---

**Разосланы подписчикамъ**

28 (конецъ II т.) и 29 ВЫПУСКИ

**„НАСТОЛЬНАГО ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ"**

**Объясненіе словъ по всѣмъ отраслямъ знанія,**

изданіе Т-ва А. Гарбель и Ко.

(Слова отъ Гончаровъ—Гуммель) 20 портретовъ (Гончаровъ, Горнъ, Готшалъ, Градовскій, Графе, Григоровичъ и т. д.) и 5 рис. въ текстѣ. Приложены 2 выполнен. красками географическія карты: „Великобританія" и „Всѣ части свѣта", Отдѣльные выпуски 40 и 30 к., смотря по разбору бумаги. Подписка принимается исключительно въ главной конторѣ: Москва, Тверская, Бол. Гнѣздниковскій пер., д. Мартыновой.

**Подписная Цѣна:**

**На все изданіе** съ доставкой и пересылкой. На лучш. бум. 32 руб. На обык. бум. 25 руб. **На 50 выпусковъ** съ пересылкой и достав. На лучш. бум. 17 руб. На обык. бум. 12 руб. 75 коп. **На 10 выпусковъ** съ 25—35. съ дост. и перес. На лучш. бум. 4 р. На обык. бум. 3 руб. (0)